ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №48
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საკონკურსო მომსახურეობის შეყიდვა)

ქ. ზესტაფონი --19 ---ივლისი-- 2012 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარის მერაბ მასხარაშვილის სახით (მისამართი ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ. № 11 (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ზესტაფონპროექტი''-ს დირექტორის ნოდარ მესხიშვილის სახით (შემდგომში — მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანომდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი*

ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მომსახურება კოდი: 71355555

2. *შესყიდვის ობიექტი*

2.1. 2012 წლის 5 აპრილს №406-ე კონკურსით გამოცხადებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დანართი ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც უნდა მოიცავდეს განმარტებით ბარათს, შესაბამის სახარჯაღრიცხვო ღირებულებას, შესაბამის ნახაზებს და სპეციფიკაციებს, ღირებულებით 14700 ლარი

3. *ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა **14700 (თოთხმეტიათასშვიდასი) ლარი**.

4. *შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. *შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები,*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 14 ---------ზიარია--მდე.

6. *შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.
7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურეობის სრულად გაწევის შემდეგ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნის წარმოდგენიდან (რომელიც განხორციელდება შემსყიდველის ხარჯებით.) და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4. მომსახურების მოწოდების ადგილია ქალაქი ზესტაფონი წერეთლის ქ. № 11

7.5 იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე, ან და თუ ნაკლები იქნება სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში, ანაზღაურდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების პროპორციულად.

7.6 წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების ღირებულება შეზღუდული არ იქნება ფასების ცხრილში მითითებულ ხარჯთაღრიცხვების სავარაუდო ღირებულებასთან.

8. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების დარღვევის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველი ასეთი დღისათვის ხელშეკრულების ან წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 24 ივნისამდე.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც კომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

16.2 ინსპექტირებას განახორციელებს **ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 8 თებერვლის № 19 ბრძანებით შექმნილი კომისია**

17. სხვა პირობები

17..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე მერაბ მასხარაშვილი

სს „ლიბერთი ბანკი“-ს

ზესტაფონის ფილიალი

ბ/კოდი LBRTGE22

ბ/კოდი ა/ა № GE03LB01201775767100

ს/კოდი: 230087045

მის. ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ-№11

მიმწოდებელი:

შპს. „ზესტაფონპროექტი“

დირექტორი ნოდარ მესხიშვილი

სს „ლიბერთი“ ბანკის

ზესტაფონის ფილიალი

კოდი: LBRTGE22

ა/ნ GE36LB0113129130511000

ს/ კოდი: 230071953

მის. ზესტაფონი, ბიბილაშვილის 6

შეთანხმებულია:

გივი არაბიძე

გამგებელი

ადმინისტრაციული სამსახურის

უფროსი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი :

იურისტი:

შესაბამისი სამსახურის უფროსი:

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	ხარჯთარიცხვის სავარაუდო ღირებულება ლარი	გასაწევი მომსახურების ღირებულება (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა
1	2	3	4	5
1	ქ. ზესტაფონში აღმაშენებლის ქუჩაზე ხელოვნური საციგურაო მოედნის მონტაჟი	2 000	20	ხელშეკრულების დადების დღიდან 25 კალენდარული დღეში
2	ქ. ზესტაფონში ქეთევან წამებულის ქუჩის რეაბილიტაცია	188 000	2800	-------„-------
3	ქ. ზესტაფონში მერჩულეს ქუჩის რეაბილიტაცია	116 000	1700	-------„-------
4	ბატონიშვილის, აღმაშენებლის, ასლანიკაშვილის, ბიბილაშვილის, ჭანტურიას, სტაროსელსკის, კეთილაძის, დიდგორის, გორგასალის, ჩხეიძის, აბესაძის, ლაღიძის, რობაქიძის მელქაძის, კეკელიძის, ფიროსმანის, რუსთაველის ბარათაშვილის ქუჩებზე გზის საფარის ორმული დამუშავება	100 000	1500	-------„-------
5	აღმაშენებლის ქ. №17 და №19 საცხოვრებელ კორპუსებთან ასფალტის ფენილის დაგება.	25 000	330	-------„-------
6	ქ. ზესტაფონში პუშკინის ქუჩის გარე განათება	28 000	400	-------„-------
7	რ. ლაღიძის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია	40 000	600	-------„-------
8	ზესტაფონში უ. ჩხეიძის სახელობის დრამატული თეატრის სველი წერტილების რეაბილიტაცია	50 000	750	-------„-------
9	ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახელობის დრამატული თეატრის სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია	100 000	1500	-------„-------
10	ქ. ზესტაფონში 9 აპრილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	135 000	1850	-------„-------
11	ქ. ზესტაფონში ჩიკაშუას ქუჩის გზის რეაბილიტაცია	50 000	750	-------„-------
12	ქ. ზესტაფონში აღმაშენებლის ქუჩის კედლის რეაბილიტაცია (ქიმიური მაღაზიის წინ მდებარე. სკვერიდან საციგურაო მოედნამდე და რკინიგზის სადგურიდან ისტორან „ცაცხვებამდე")	150 000	2500	-------„-------
	ჯამი ----------	984 000	14700	-------„-------

შპს „ზესტაფონპროექტი"
დირექტორი:

/ნ. მესხიშვილი/